



Problematic Issues of the Use of the Retroactive Force by Court

Phridon Diasamidze

Ph.D. Student at the East European University

ABSTRACT

In most of the legal systems of the world, especially in Europe, speaking about the Principles of criminal law begins with the famous Latin expression: *Nullum crimen sine lege*. This Principle is often referred to as the Principle of Legality. This Principle requires that a person is held criminally liable under the governing law at the time of commission of the offence. One of the main requirements of this Principle is the prohibition of retroactive force in criminal law. Retroactive Force is a feature of law norms to apply to a case that had occurred before its enactment. The Principle of prohibition of Retroactive Force is a Principle of constitutional rank, which is not only a national but also a recognized international value. Paragraph "9" of Article 31 of the Constitution of Georgia stipulates that the law has no Retroactive Force if it does not mitigate or abolish liability. At the first glance, Article 3 of the Criminal Code of Georgia states in accordance with this: a criminal law norm that decriminalizes an act or reduces penalty, has retroactive force. A criminal law norm that criminalizes an act or increases punishment, has no retroactive force. As much as the requirement of the Constitution is quite broad and general in its nature, the wording of Article 3 of the Criminal Code of Georgia seems to narrow down the requirement of the Constitution. The paper discusses the compatibility of Article 3 of the Criminal Code with Article 31 of the Constitution of Georgia. The practice of the Constitutional Court is discussed and the author's recommendations are presented.

KEYWORDS: Constitution, Crime, Punishment

In most of the legal systems in the world, especially in Europe, speaking about the principles of criminal law begins with the famous Latin expression: *Nullum crimen sine lege*. This Principle is often referred to as the principle of legality. This principle requires that a person is held criminally liable under the governing law at the time of commission of the offence. One of the main requirements of this principle is the prohibition of retroactive force in criminal law¹. Retroactive force is a feature of legal norms to apply to a case that had occurred before its enactment. The principle of prohibition of retroactive force is a principle of constitutional level, which is not only a national but also has international

recognition. Article 31, Paragraph 9 of the Constitution of Georgia stipulates that the law has no retroactive force if it does not mitigate or abolish liability². At the first glance, Article 3 of the Criminal Code of Georgia states in accordance with this: a criminal law norm that decriminalizes an act or reduces penalty, has retroactive force. A criminal law norm that criminalizes an act or increases punishment, has no retroactive force. This is especially crucial for any modern, democratic state, as it is directly related to legal security. It is still debated in the literature as to which norms are the addressees of this restriction. It is logical that we should assume all the norms that in some way establish criminal, legal

1 Turava M. Criminal Law, General Part, Doctrine of Crime, Meridiani, 2011, p.p. 10-13.

2 Constitution of Georgia, Article 31, Legislative Herald of Georgia.

liability. In no way should we consider this restriction as a mere restriction of criminal norms, because legal liability is not only of criminal nature, for example, there also is administrative liability. It is also noteworthy that at the first glance it seems that the record of Article 31 of the Constitution and the Criminal Code correspond with each other, while in fact there is a substantive difference between them, in particular, Article 31 requires retroactive force to be applied only in case when the law mitigates or abolishes liability while The Code of Criminal Law clearly narrows it down to the prohibition regarding the use of retroactive force and provides only two types of guarantees:

- The norm doesn't have retroactive force if the norm criminalizes an act;
- The norm doesn't have retroactive force if the norm increases the penalty – meaning the size or the type of the sentence³.

In all other cases the retroactive force is not restricted. Therefore, the question arises, should retroactive force be used in the context of mitigating the liability of a person, in relation to mitigating a liability, the statute of limitations, the conditional sentence term or even in case of a suspended sentence? Because, as stated above, the issue is partly related to the compatibility of Article 31 of the Constitution of Georgia and Article 3 of the Criminal Code, we should consider the approach of judiciary, in particular the approach of the Constitutional Court of Georgia in this regard.

Concerning this issue, there are indeed cases related to the above-mentioned legal dilemma in the practice of the Constitutional Court of Georgia. The Public Defender and the perpetrators of crime against whom the aggravating criminal law was applied, the compliance of Article 3 of the Criminal Code with the Constitution of Georgia⁴. In this case, Article 3 of the Criminal Code allows the possibility of retroactive force application of criminal norms only if the norm decriminalizes an act or reduces penalty. Therefore, this norm unequivocally prohibits the use of retroactive force of the law if it criminalizes an act or increases punishment for it. In the Constitutional Court, the plaintiffs considered that in this case, the prohibition on retroactive force should not be reduced only to the norms related to criminalizing an act or increasing the punishment. Such an interpretation prevents other laws related to criminal liability (e.g., suspended sentence, lifting a conditional sentence, statute of lim-

itations) that actually improves person's condition to be used retroactively. Regarding this case, the Constitutional Court has clarified that Article 42, paragraph 5 of the Constitution, in general, reinforces the fundamental principle of legality (*nullum crimen sine lege*). In particular, the first sentence of Article 42, paragraph 5 prohibits liability for an act if it was not considered an offense at the time of its commission. The second sentence of the same paragraph, on the one hand, prohibits the retroactive force of the law, and on the other hand, establishes an exception – if the law cancels or mitigates the liability, it can have retroactive force. The Court has emphasized the fact that these sentences of Article 42, paragraph 5 constitutes an organic unity and ensures that an offense and liability for it, as a combination of coercive measures performed by the State, will be as defined by the governing legislation at the time of the offense. The majority of the judicial panel did not agree with the argument that the impugned norm restricted the constitutional guarantee and prohibited retroactive force in only two cases – when “criminalizing an act” or “increasing the punishment”. The Court has concluded that the terms “criminality” and “punishment” should be fully consistent with the term “liability” in Article 42, paragraph 5 of the Constitution, as “there is no criminal liability without a criminal action and punishment” and all criminal law measures, no matter what name they are mentioned by, are related to them. The Court has additionally noted that criminalizing an act and increasing the punishment should not be interpreted narrowly, as proclaiming certain act an offense or increasing the punishment established for it, in general, but should also encompass cases where due to certain circumstances an act is criminalized or a punishment is increased the regarding a certain person. In view of the above, the court held that if the statute of limitations for criminal prosecution has expired, it means that the person has been released from criminal liability and that the act specifically committed by them is no longer an offense. Extending the statute of limitations after a person has the expectation that they will no longer be prosecuted is an “imposition of a crime”. In this case, the impugned norm prohibited the retroactive force application of the new law. In contrast, if the statute of limitations for prosecution of a particular act has not expired, its extension under the new law does not constitute a violation of the constitutional requirement of prohibiting retroactive force, as in this case a person could not have had a legitimate expectation that the State would not have been able to prosecute the crime committed by them within the prescribed period and they would've been released from liability.

3 Criminal Code of Georgia, Article 3, Legislative Herald of Georgia.

4 Note: Article 42 of the Constitution of Georgia provided for a reservation at the time of the hearing of the case in the Constitutional Court.

In addition, the Court has held that the words of the impugned norm “increases punishment” should not be construed so as to include only an increase in the size of the sanction. Abolishing the possibility of using probation after committing a crime under the new law should be considered to be an indirect increase of punishment for a criminal act, and applying such a law retrospectively would be unconstitutional. Although there has been a practice of interpreting and applying the impugned norm otherwise, the Court has held that the content of the norm itself was crucial. According to the established approach, if a norm only allows an interpretation that is unconstitutional, it should in itself be considered unconstitutional. While if a norm can be interpreted in two ways, and allows for a definition corresponding to the Constitution, then it should be interpreted in accordance with the Constitution and should be considered constitutional. Given that the impugned norm could have been interpreted in such a way as to include the statutes of limitations and norms probation and could’ve prevented the retroactive force application of aggravating legislation adopted after the

offense had been committed, the Court held that the norm was constitutional according to Article 42 of the Constitution. The opinions of the judges regarding this decision were significantly divided⁵.

The Constitutional Court of Georgia has quite fruitful practice regarding the issue of retroactive force. Some interesting decisions have been made regarding this topic. We fully understand and agree with the views expressed in these decisions, however we believe that the compatibility of Article 31 of the Constitution with Article 3 of the Criminal Code of Georgia still requires further study. The Constitutional Court and the doctrine of Georgia have a leading role in this process. Given the importance of the issue, it would be recommended to clarify the wording in the Criminal Code so that this issue no longer raises misunderstandings in future.

⁵ Constitutional Court of Georgia, I Panel, Case N 1/1 / 428,447,459, May 13, 2009 p. 5-8, Official Website of the Constitutional Court of Georgia: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>

NOTES:

1. Turava M. Criminal Law, General Part, Doctrine of Crime, Meridiani, 2011 (In Georgian);
2. Constitution of Georgia, Article 31, Legislative Herald of Georgia (In Georgian);
3. Criminal Code of Georgia, Article 3, Legislative Herald of Georgia (In Georgian);
4. Constitutional Court of Georgia, I Panel, Case N 1/1 / 428,447,459, May 13, 2009 p. p. 5-8 (In Georgian).

BIBLIOGRAPHY:

1. Turava M. Criminal Law, General Part, Doctrine of Crime (In Georgian);
2. Constitution of Georgia (In Georgian);
3. Criminal code of Georgia (In Georgian);
4. Constitutional Court of Georgia, I Panel, Case N 1/1 / 428,447,459, May 13, 2009 (In Georgian).

სასამართლოს მიერ უკუძალის გამოყენების პრობლემური საკითხები

ფრიდონ დიასამიძე

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საპპანდო სიმყვამბი: კონსტიტუცია, დანაშაული, სასჯელი

მსოფლიოში არსებულ სამართლებრივ სისტემათა დიდ ნაწილში, განსაკუთრებით ევროპაში, სისხლის სამართლის პრინციპებზე საუბარი იწყება ცნობილი ლათინური გამოთქმით: *Nullum crimen sine lege*. ხშირად ამ პრინციპს მოიხსენიებენ კანონიერების პრინციპის სახელით. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ კანონით, რომელიც მოქმედება მისი ჩადენის დროს. აღნიშნული პრინციპის ერთ ერთი მთავარი მოთხოვნაა, უკუძალის აკრძალვა სისხლის სამართალში¹. უკუძალა ეს გახლავთ სამართლის ნორმათა თვისება გავრცელდეს მის ამოქმედებამდე მომხდარ შემთხვევაზე. უკუძალის აკრძალვის პრინციპი გახლავთ კონსტიტუციური რანგის პრინციპი, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ალიარებული საერთაშორისო ფასეულობაა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის „9“ პუნქტი ადგენს რომ კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.² ერთი შეხედვით ამის ადექვატურად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლი ადგენს: სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს. ეს დანაწესი განსაკუთრებით საკვანძო მნიშვნელობისაა ნებისმიერი თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, იმდენად რამდენადაც ის პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ უსაფრთხოებასთან. ლიტერატურაში დღემდე დავაა იმის გარშემო თუ რომელი ნორმებია ამ შეზღუდვის ადრესატი. ლოგიკურია რომ აქ საუბარი უნდა იყოს ყველა იმ ნორმაზე, რომელიც რაიმე ფორმით ადგენს

სამართლებრივ, იურიდიულ პასუხისმგებლობას. არამც და არამც არ უნდა ჩავთვალოთ ეს შეზღუდვა მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმების შეზღუდვად, რადგან იურიდიული პასუხისმგებლობა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ხასიათის არ არის, მაგალითად არსებობს ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საყურადღებოა ისიც, რომ ერთი შეხედვით თითქოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის ჩანაწერი და სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაშია ერთმანეთთან რეალურად მათ შორის არსებობს შინაარსობრივი სხვაობა: კერძოდ, 31-ე მუხლი მოითხოვს რომ უკუძალა გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც კანონი ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი ამკარად ავიწროვებს ამ დათქმას უკუძალის გამოყენების აკრძალვასთან მიმართებაში იძლევა მხოლოდ ორი ტიპის გარანტიას:

- უკუძალა ნორმას არ აქვს თუ ნორმა აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას;
- უკუძალა ნორმას არ აქვს თუ ნორმა ამკაცრებს სასჯელს – საუბარია სასჯელის ზომაზე ან სახეზე.³

სხვა ყველა შემთხვევაში უკუძალა შეზღუდული არ არის. მაშასადამე, ჩნდება კითხვა, უნდა იქნას თუ არა გამოყენებული უკუძალა, პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქების ქრილში, ხანდაზმულობის ვადების, ნასამართლობის ვადების მიმართ ან სულაც პირობითი მსჯავრის შემთხვევაში?. ვინაიდან როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საკითხი ნაწილობრივ ეხება საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის შესაბამისობას უნდა განვიხილოთ მართლმსაჯულების მიდგომა, კერძოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით.

1 ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება.
2 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-3 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ნამდვილად მოიძებნება საქმეები რომელიც უკავშირდებოდა ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ დილემას. სახალხო დამცველმა და დანაშაულის ჩამდენმა პირებმა რომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა, მათი მდგომარეობის გამაუარესებელი სისხლის სამართლის კანონი, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან⁴. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი სისხლის სამართლის ნორმების უკუძალით გამოყენების შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ მაშინ თუ ნორმა აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს. მაშასადამე აღნიშნული ნორმა ერთმნიშვნელოვნად კრძალავს კანონის უკუძალის გამოყენებას თუ ის აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს. საკონსტიტუციო სასამართლოში, მოსარჩელები თვლიდნენ რომ ამ შემთხვევაში, უკუძალის აკრძალვა არ უნდა იქნას დაყვანილი მხოლოდ იმ ნორმებით რომელიც უკავშირდება დანაშაულებრიობის დაწესებას ან სასჯელის გამკაცრებას. ასეთი ინტერპეტაცია სპობს საშუალებას რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვა კანონები (მაგ, პირობითი მსჯავრის, ნასამართლობის გაქარწყლების ვადების, ხანდაზმულობის ვადების მომწესრიგებელი ნორმები) რომლებიც რეალურად აუმჯობესებენ პირის მდგომარეობას გამოყენებულ იქნას უკუძალით. აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ დააბუსტა რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი საერთო ჯამში, განამტკიცებს კანონიერების (nullum crimen sine lege) ფუნდამენტურ პრინციპს. კერძოდ, 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება კრძალავს პასუხისმგებლობას ქმედებისთვის, თუ ის მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. ამავე პუნქტის მეორე წინადადება, ერთი მხრივ, კრძალავს კანონის უკუძალას, მეორე მხრივ კი ადგენს გამონაკლისს – თუ კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას მას შეიძლება ჰქონდეს უკუძალა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის აღნიშნული წინადადებები ორგანულ ერთიანობას ქმნიან და უზრუნველყოფენ, რომ სამართალდარღვევა და მის გამო პასუხისმგებ-

4 შენიშვნა: საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის მომენტში, უკუძალასთან დაკავშირებულ დათქმას ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

ლობა, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული იძულებითი ღონისძიებების ერთობლიობა, იქნება იმგვარი, როგორც ამას განსაზღვრავდა სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა. სასამართლო კოლეგიის უმრავლესობამ არ გაიზიარა არგუმენტი, რომ სადავო ნორმა ავიწროებდა კონსტიტუციურ გარანტიას და უკუძალას კრძალავდა მხოლოდ ორ შემთხვევაში – “დანაშაულებრიობის” დაწესებისას და “სასჯელის” გამკაცრებისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერმინები “დანაშაულებრიობა” და “სასჯელი” სრულად შესაბამისობაში იყოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ტერმინ “პასუხისმგებლობასთან”, რადგან “სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს ქმედების დანაშაულებრიობისა და დასჯადობის გარეშე” და ყველა სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, რა სახელითაც არ უნდა იყოს მოხსენიებული, მათთან არის დაკავშირებული. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დანაშაულებრიობის დაწესება და სასჯელის გამკაცრება არ უნდა განიმართოს ვიწროდ, როგორც ამა თუ იმ ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება ან მისთვის დადგენილი სასჯელის გამკაცრება საზოგადოდ, არამედ ასევე უნდა მოიცვას ისეთი შემთხვევები, როდესაც გარკვეული გარემოებების გამო კონკრეტული პირის მიმართ წესდება ქმედების დანაშაულებრიობა ან მძიმდება სასჯელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა, ეს ნიშნავს რომ პირი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და კონკრეტულად მის მიერ ჩადენილი ქმედება აღარ არის დანაშაულებრივი. ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება მას შემდეგ, რაც პირს უჩნდება მოლოდინი, რომ მის მიმართ აღარ განხორციელდება დევნა, წარმოადგენს “დანაშაულებრიობის დაწესებას”. ამ შემთხვევაში სადავო ნორმა კრძალავდა უკუძალით ახალი კანონის გამოყენებას. ამისგან განსხვავებით, თუ კონკრეტული ქმედების მიმართ დევნის ხანდაზმულობის ვადა არ ამოწურულა, მისი გაგრძელება ახალი კანონის საფუძველზე არ წარმოადგენს უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციური მოთხოვნის დარღვევას, რადგან ამ შემთხვევაში პირს არ შეიძლებოდა ჰქონოდა კანონიერი მოლოდინი, რომ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ვერ მოახერხებდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ დევნის განხორციელებას და გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან. დამატებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის

სიტყვები “ამძიმებს სასჯელს” არ უნდა განიმარტოს, ისე რომ მოიცვას მხოლოდ სანქციის ზომის გაზრდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობის გაუქმება ახალი კანონის საფუძველზე, დანაშაულებრივი ქმედებისთვის სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად უნდა ჩაითვალოს და უკუძალით ამგვარი კანონის გამოყენება არაკონსტიტუციური იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სადავო ნორმის სხვაგვარად განმარტების და გამოყენების პრაქტიკა, სასამართლომ მიიჩნია, რომ გადამწყვეტი იყო თავად ნორმის შინაარსი. ჩამოყალიბებული მიდგომის მიხედვით, თუ ნორმა მხოლოდ კონსტიტუციის საწინააღმდეგო განმარტების საშუალებას იძლევა, იგი უნდა ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად. ხოლო თუ ნორმა ორგვარად შეიძლება განიმარტოს, და კონსტიტუციის შესატყვისი განმარტების შესაძლებლობასაც იძლევა, მაშინ კონსტიტუციის შესატყვისად უნდა იქნეს განმარტებული და კონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმა, შეიძლება იმგვარად განმარტებულიყო, რომ მოეცვა ხანდაზმულობის და პირობითი მსჯავრის დამდგენი ნორმები და აღეკვეთა სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მიღებული, დამამძიმებელი კანონმდებლობის უკუძალით გამოყენება, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმა კონსტიტუციური იყო კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში მოსამართლეთა აზრი მნიშვნელოვნად გაიყო.⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკუძალის საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ნაყოფიერი პრაქტიკა აქვს. ამ თემაზე მიღებულია საინტერესო გადაწყვეტილებები. ჩვენ სრულად გვესმის და ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილებებში გატარებულ მოსაზრებებს, თუმცა ამიგვანა რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის ერთმანეთთან შესაბამისობა, მაინც დამატებით კვლევას საჭიროებს. ამ პროცესში კი წამყვანი როლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და დოქტრინას აქვს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველი იქნება სისხლის სამართლის კოდექსში, ფორმულირების დაზუსტება, რათა ამ საკითხმა სამომავლოდ აღარ წარმოშვას გაუგებრობა.

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, I კოლეგია, საქმე N 1/1/428,447,459, 13 მაისი, 2009 წელი გვ. 5-8, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>